



მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილია: მწყემსმან კეთილმან სული თვისი
დაპირულის ცხოვარიათვის. იოა. 10—11.

შპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეო იყოს სიხარულ,
ცათა ჰინა, ერთისათვის ცადვილისა. ლუკ. 15—4.

შოვედით ჩემდა ყოველნი მაშერალნი და ტკილ-მძიმენი
და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 20

1883—1898

30 ოქტომბერი,

ვაჟეთის ფასი:

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
2 თვეთ . . .	3 მან.
2 თვეთ . . .	12 თვეთ . . . 5 მან
6 — . . .	2 — 6 — . . . 3 —
ვალისა და წერილების განვითარება ან ადრესით: ნა რამისთა, ას იმპორტით „Mukemeli“ უ დასუზნება.	

შევლა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელიც
იქმნებინ დასაბჭოდავთ გამოყენებილნი, ვრცელ და გასაზა-
ბად უნდა იყვნენ ავტორთავან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაბეჭდება, სამი თოვის გამავ-

ლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდე.

სტატიები მიიღებინ რუსულს ენაშე დაწერილნიც და

თარგმნით დაიბეჭდებინ.

შინა 6 თებერვალი:

სალითოსათური 82 ცენტ აიღვადა: ჩენ მოაშენა საყურადღებოდ,—ზოგიერთი აღგილები უწმიდსი სიიდის
ობერ-პროკურორის 1894 და 1895 წლების შევე შეტრლომილეს ანგარიშისა მარალ-მაღდებელი, აღსარების უწყების
შესახებ საქართველოს საექსპრესო სასაგან.— ძირდას განძ.— კარი, (ლექსი).—ახალი ამბები და შენიშვნები.

სეაზონა და 82 ცენტის გრად არის რაოსტის ნორა და კეტილ-ზეორაზაზ: ოჯახის კერა. მამაკაცი
და დედაკაცი. თავის თავის დაპყრობა კაბუკისა. — შიო-მღვიმის მონასტრი და ცხოვრების აღწერა შიო-მღვიმელისა.

— შეწილულებანი. — ვანკუსდებანი.

ჩენ მოაშენა სახურადღებოდ.

დამადგინა მე მსახურება სა აბას“ (1 ტბმ. ა, 12).

« და მადლიერ ვარ მისეს, რომელმან იყო ამ სიტკების მუდამ უნდა იმეორებდეს თაგის
განმაძლიერა მე. ქრისტენის ისტოს, უფლისა გვლესა და გონებამი, მზეაფსად ჰავლე მოცი-
ხვენის, რომელ სარწმუნოდ შემრაცხა მე და ქუჯის, უოველი მლეველი. მართლაც რა

უნდა იყოს უმაღლეს და უწმიდეს იმ აზრთა, რომელიც უნდა აღავტებდენ გულსა და კონებას მოძღვრისას? ნუ თუ ბუნებითი არა ჩვენი დავთის მზგავით სულისათვის უმაღლესი აზები, რომლითაც უოველთვის გამსჭვალული უნდა იყო მოძღვარი? დიდია დანიშნულება მოძღვრისა მის მოვალეობის შესახებ: იგი ვალდებულია დანერგოს კეთილი იქ. სადაც ფეხის გადგმას აპირებს ცოდვა, მოძღვარმა უნდა მიიღვანოს სამწესო სინათლისა და ნეტარებისადმი. თავის მახლობელ საზოგადოებაზე მოძღვარის აქვს თვით უმახლობელესი გავლენა. თითოეულს სოფელი, ანუ სამრევლოში მდვრელი ერთად ერთი პირი, რომელსაც, თავისი საკუთარი ოჯახობის გარდა, თავის ოჯახად მიაჩნია მთელი მრევლი, მთელი საზოგადოება, რომელიც მისდამი რწმუნებული ეყლესის სამრევლოს მეადგინს. მთელს მრევლს მდვრელი მიაჩნია მრჩეველად და წინამძღვრად თავის მოქალაქობრივ ცხოვრებაში; მდვრელის შესტრეობლად არ მოხდება შობა და სიკვდილი; მდვრელმა უნდა აკურთხოს ახლად შობილი, რომელიც სიკერძილამდე მდვრელის მსედველობას და მზრუნველობას ქვეშ უნდა იმუოფებულეს; მდვრელია უმაწვილის აკენის მაკურთხებელი, მისი მომნათვლელი, გვირგვინის მაკურთხებელი, სიკვდილის წამს მანუგებებელი და სიკვდილის შემდეგ მისი დამმარხველი. მდვრელი ის კაცია, რომელიც თვით პატარა ბავშვებს აც უუგარსთ, პატივსცემენ და ხათრი ბავშვებს მისი; იგინი მოძღვარის თავის მამას და ბატონის ემახთიანან; მდვრელის წინაშე უმაღლესი ასტრიანი, დიდი და პატარა გულ ას-ქრისტიანე კაცი, დიდი და პატარა გულ ას-დილად მიმობს უოველ თავის ცოდვას, ისეთ არამეტსაც არ უმაღლეს მოძღვარს, რომლის

გამსელა მას რცხვენდა თავისი უმახლობელესი კეთილის მუოველისათვისაც. მდვრელი ის კაცია, რომელიც სულისა და სეულის ეოველ უბედურობის დროს მანუგებებელია, მდვრელია შეამავალი სიძირიდრესა და სიღარიბესა მორის; მოძღვარის მუდამ კარს ადგია მდიდარი და ღარიბი: მდიდარი მოდის მასთან, რომ ფარულად გადაცეს მას რაიმე მეწირულება, ხოლო ღარიბი მოდის მოძღვართან, რომ ეს შეწირულება მიიღოს, მდვრელი ერთად ერთი პირია, რომელსაც კიდევ რომ დიდი მოქალაქობრივი ხარისხი არა ჰქონდეს, საზოგადოების უველა წრებთან მაინც დიდი დამოკიდებულება აქვს: რაც უნდა მდვრელი დარიბი და უბრალო ჩამომავლობისა იყოს, მას თავისი განათლების და აღზრდის წესლობით დიდი ზედ-ვავლენა აქვს უველაზე. მდვრელი ერთად-ერთი პირია, რომელსაც შეუძლია ილაპარაკოს ეოველივეზე და ეოველ მის სიტყვას უველანი მოწიწებით ისმენენ, როგორც დავთის სიტყვის მქადაგებლისას. მდვრელს შეუძლია დიდი სიკეთე მოუტანოს მრევლს. მაგრამ მასვე შეუძლია დიდი ვნების მოტანაც მრევლისათვის და ეს იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ ასრულებს იყი თავის დიდ სამსახურს.

ზემო ნათქეამისაგან ცხადათ ჩენს, თუ მდვრელი რატომ ითვლება საზოგადოების სულად. ამისათვის მდვრელმა უოველივე სამუშალება უნდა იხმაროს, რომ საზოგადოება მიიზიდოს თავისაგენ. ერთი საუკეთესო სამუშალება, რომელიც ამ შემთხვევაში ძლიერ და ბატონის მდგრელს, არის ზრდილობა. ეს საშუალება მართლა, არც ასე უბირველესია, მაგრამ მისი ცოდნა მდვრლისათვის აუცილებლად საჭიროა: მდვრელის ეოველ-გვარი მოქ-

მედება გამსჭვალული უნდა იქთს ზრდილობით.

I.

ამისათვისჩვენ ჯერ საზოგადოთ ზრდილობაზე კიწუებთ საუბარს. რა არის ზრდილობა? როგორ კაცს ეძახიან ზრდილობანს? ზრდილობიანს ეძახიან ისეთ კაცს, რომელიც თავისი კარეგანი უოფა-ქცევით პატივს ცემს სხვებს და კეთილი სურს უველასათვის. ზრდილობა მარტო გარეუნი მოქმედებით გი არ უნდა გამოიხატებოდეს, არამედ ჩვენი სულის შინაგანი გამოხატულობითაც. მდგრელი უნდა იქოს თავდადებული აღმასრულებელი თავისი სამსახურისა, მშვიდი, კეთილი; ზრდილობა, როგორც ხალხის ერთმანერთთან შემაერთებელი რამ, ხავალდებულოა უველა კაცისათვის, მაგრამ უმეტესად უველა მდგრელთათვის.

ახალგაზრდა კაცი გამოდის სემინარიიდან და თან გამოაქვს სწავლა, რომელიც სიჭიროა ქადაგებისა, ღვთის-მსახურების შესრულებისა და ღოღმატების განსამარტებლად. როდესაც ასეთი კაცი მდგრდლად ეკურთხება და სამრევ-ცლობი იწყებს ცხოვრებას, იგი თან-და-თან ცდილობს, რომ მან თავისი სამსახური ჯეროვანად შეასრულოს და კიდეც მუერათად მოღვაწეობს ქრისტეს ერანამი. მაგრამ ახალ-გაზრდა მომდგარი მაღა რწმუნდება, რომ მისთვის გიღვე რზდაც არის საჭირო. საზოგადოება ითხოვს მისვან ზრდილობიანს მოქცევას, როგორიც მოეთხოვება შესაფერად აღზრდილს კაცს. მდგრელი, რომელიც ცხოვრებს საზოგადოებას, გალდებულია უურადღება მიაქციოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა. მართალია,

მდგრელი მოსამსახურება ღვთისა, მაგრამ ამავე ღროს იგი უნდა იქმნეს ამა ქვეუნის საზოგადოების წევრიც; მდგრელი, ზაფლე მოციქულის სწავლისამებრ, ვალდებულია სახეში იქონიოს ერველივე მოთხოვნილებანი საზოგადოებისა.

(შემდეგი იქნება).

ზოგიერთი ადგილები უწმიდესი სინოდის ობერ-ზრდულორის 1894 და 1895 წლების უქვემევ-ოდომილები ანგრიძისა მართლ-მადიდებელი აღსარების უწევების შესახებ.

„მართლ-მადიდებელი სარწმუნოების მდგომარეობა საქართველოს საექსარხოსოში. საქართველოს საექსარხოსის სამწყსოში, რომელსაც შეაღებს ითხი ეპარქია: ქართლისა, იმერეთისა, გურია-სამეგრელოსისა და სოხუმისა, ცხოვრებენ სხვა-და-სხვა გვარტომის ხალხი: რუსები, ქართველები, ოსები მეგრელები, აფხაზები, ფშაველები, ხევსურნი, თუშები, და სხვა მცირე ხალხები, და გარდა ამაბებისა, ბერძნები. თვითეულ ამ აღნიშვნულ ხალხს აქვს თავისი ძევლი თქმულობა, რომელიც ერთი დგმიდამ მეორე დგმაში გადადის, აქვსთ თავიანთი კერძო შთამომავლობითი ზნე-ჩვეულებანი. ამიტომ ზემოაღნიშნულ ხალხთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მდგომარეობის ერთად აღწერა შეუძლებელია. აუცილებლად თითოეულ ამ ხალხის სარწმუნოებრივ-ზნეობრივ მდგომარეობის შესახებ სათითოად უნდა ილაპარაკოს კაცმა.“

[1] რსუბა სარწმუნოებრივ-ზნეობრივის მხრით მაღლა დგანან ყველა იმ ხალხებზე, რომელიც ცხოვრებენ საქართველოს საექსარხოსოში. იგინი დიდის გულს-მოდენებით დაიარებიან ტაძარში, უფრო იუიან სარწმუნოების შეშმარიტებანი, იუიან მცნებები და საზოგადო სახმარებელი ლოცვების დიდის პატივის ცემით ეპურობიან სამლელონ პირთ, უფრო გულ-უხვად სწირავენ ფულს ტაძრების საჭირებისა და გამშვენებისათვის და საზოგადოდ მართლ-მადიდებელი რუსი თავისი ზნე-ხასიათით უფრო

ეტოვება განათლებას. ყველა აშ კარგ მხარეებთან რუსის ხალქში, სამწუხაროდ ვნიშნავთ ცუდ მხარე-ებსაც, სახელდობრ: რუსი მაღლე ეწევა უსაქმო-ბს, ჟექცევს და იმ ბიჭიერებას, რომელიც თან მოსდევს ჟექცევს და ამიებს გარდა ძლიერ ეტანება სხვა-და-სხვა ახალ რამებს და ეს არის მიზნები, რომ რუსის ხალხი ადვილად ვარდება მწვალებლობაში.

2) ქართველები სარწმუნოებრივ-ზენობრივის მხრით რუსებთან ჟედარებით ძლიერ დაბლა დგანან. იგინი დვირად დაიარებიან ტაძრებში, ძლიერ ნაკლებად ცდილობენ, რომ ტაძრების საჭიროებისა და გამშვენებისათვის ფული ჟესტირონ, ნაკლებად ამზობენ აღსარებას და ზიარობენ, და თითქმის სრულებით არაფერი იციან პართლ-მაღიდებელი სარწმუნოების ჟესახებ.

3) ასები, თუმცა შესაძნევად გაუმჯობესდენ ამ სანგარიშო წლებში როგორც სარწმუნოებრივის ისე ზნებრივის მხრით, მაგრამ მათ დღემდის კიდევ სისრულით ვერ შეითვისეს ქრისტიანული ცხოვრების უმაღლესი ჰეშმარიტებანი და ამიტომ მათი სარწმუნოება წარმოგვიდგენს შენარევს ქრისტეს სარწმუნოებისას და კერპთ თაყვანის მეტელთა რწმენა ჩვეულებისას. ქრისტიანობიდნ ასებმა გან-საკუთრებით შეითვისეს სხვა-და-სხვა წესები; ხოლო რაც შეეხმა თვით სარწმუნოების არსებით მხარეს, იგი ჯერაც არ გავრცელებულა ხალქში. თოთეული მათვანი იატიუებს მღვდელს ბაჟშის მოსანათლავად, სახლის მოსაკურთხებლად, ავადმყოფების საზიარებ-ლად, ჯვარისწერისათვის მართლ-მაღიდებელი სარ-წმუნოების მოთხოვნილებისამებრ, მაგრამ იგინი ძლიერ ნაკლებად დაიარებიან ტაძრებში და არც არა-ვითარი შეწირულება მიაქვთ იქ. უფრო მომეტე-ბულად ასები სალოცავად დაიარებიან, ეგრედ წო-დებულ, საღმრთო ჭალებში და კლდეების მაღლობ-ზე, რომელთაც დიდ ბატიფა ცემდენ კერპთ თაყვანის-მცემელნი. იქ ჰკლავენ საქონელს შესაწი-რავად, აქ მოაქვთ სხვა და სხვა სასმელები და სა-კმელები. როცა სამსვერპლო ცხოველს აკურთხე-ბენ, მერე კლავენ და ამ სახით ყველანი ერთად დღესასწაულობენ. ასების კაი მხარეს შეადგენს: ერთმანერთის შეწევნა ფულით და პურ-ლერს შემთხვევებში, თავიანთ სოფლელის დასაუ-ლავება საზოგადო ხარჯით და მღვდლის პატივის-ცემა და საზოგადო უფროსის პატივისცემა და

სიყვარული, რომ მათი შეილები განუწყვეტლად დაიარებოდნენ ჟელაში სასწავლებლად.

3) აფხაზები და მეგრელები მართლ-მაღიდებელ სარწმუნოებს ძლიერ გულგავად ეკადებიან და ამ სარწმუნოების პირველდაწყებით ჰეშმარიტებანი მათში, თბოქმის, არაუნ იცის. ტაძრებში ძლიერ ძვირად დაიარებიან, გულით არ ეკადებიან აღსარების და წმ. ზიარების საქმეს. 1895 წ., როგორც ჩანს აღსარებითი სიებიდნ, 59,225 აზხაზთა და შეგრელთაგან სოსუმის ეპარქიაში, აღმოჩნდა 28,437 სული, რომელთაც არ უთქვაშა აღსარება და არ ზიარებულან. გარდა ამისა აფხაზებს მართლ-მაღი-დებელ სარწმუნოებასთან ჟერთებული აქვთ სხვა და სხვა რწმენა-ჩვეულება არა მარტო თათრებისაგან გაღმომებული, არამედ კერპთ-თაყვანის-მცემელთა-განაც, როგორც მაგრლითად: პატივისცემა საჭირე-ლოს, საღმრთო მუხებისა და მათ პატივისუმში მსხვერპლის შეწირვა და იგრეთვე მიცვალებულთა მოხსენება, რომელიც შესდგება მარტო დღესასწაუ-ლობისა და ტირილისაგან და ამ დროს საჭიროდ არ არცვენ რაიმე სარწმუნოებრივი წესების აღსრულე-ბას. საიდუმლო ქორწინებას მართლ-მაღიდებელნი აფხაზნი ძლიერ მოუფიქრებლად ეკადებიან. ახალ-გაზდა ქალის მოტაცება ყმაწვილი კაცებისაგან და მათთან დაუქორწინებლად ცხოვრება (ხშირად ახლო ნათესავებში), ხშირი შემთხვევაა და ამ ჩვეულებას ძლიერ მტკიცედ იქვს ფესვი გადგმული აფხაზებში და ამ ცუდ ჩვეულებას ისინი ცოდვად არა თვლიან. იგრეთვე აფხაზებში დღესაც ძლიერ ხშირად სრულ-დება შურისძიება და ცხნის ქურდობა, რომელსაც აფხაზები დამნაშაობათ არც კი სთვლიან, პირიქით ცხნის ქურდობა კაი ბიჭობათ მიჩნიათ, ხოლო შურისძიება საღმრთო მოვალეობად.

4) ფშავები, ხევსურები, თუშები და სხვა მცირე ხალხები, რომელნიც მართლ-მაღიდებელს საჭაროველოს საექსარხოსთვის ცხოვრებენ, დღესაც კიდევ ძლიერ ცუდი ზნე-ჩვეულებისანი არიან. ყო-ველგვარი ბიჭიერება: ქურდიბა, მეთხორალეობა, ცრუ ფიცი, შურისძიება, ქალების მოტაცება მათში დღე-საც მტკიცედ არის ფეხმოკიდებული. ამ სანგარიშო წლებში ეს ხალხი სარწმუნოების მხრით ისევე იმ დღიობაზე არის, როგორშიაც წინეთ იყო. ისინი დღესაც ხშირად სწირავნ ცხოვლებს კერძთა ტაძრებში, სწამთ მკითხავები, პატივისცემან ცხევის

ბერებსა— მოხუცებულთ, მათ სახლებში ვერ ნახავთ ხატებს და სს;

5) ბერებსა— რომელიც უმთავრესად ცხოვ- რებრ ყარსის სამფლობელოში და ბორჩალოს მაზ- რაში ტფილისის გამჭერისა, ხშირად დაიარებან ტაძრებში, წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ მარ- ხულობრ და ზიარობენ მიუხედავად თავისი სიღა- რიბისა, ძლიერ გულუხვად იღებრ შეწირულებას; თითქმის სოფლის ცყველა ტაძრები აშენებულია მათი სკუთარი ფულებით. მაგრამ ამაებით თავდება მათი მართლ-მადი-დებლობი, როგორც ამბობს ერთი ბლა- ლობინი ყარსის სამფლობელოისა. მათ წმ. ხატებს ვერ უნახავთ სახლებში, გულზე არ კიდით ჯვრები, არ იხსენიებენ თავიანთ მახლობელ გარდაცვალე- ბულთ. თავიანთ მღვდლებს არ უუკრებენ ისე, რო- გორც მათ მასწავლებლებს, და როცა მღვდლი მასწავლებლობს, ბერებს არ მოსწონთ ეს. თუ მღვდლელმა ვინმეს უარი უთხრა რაიმე უკანონ მო- თხოვნილებაზე, ან, რაიმე დარიგება მისცა ვინმეს, მთელი სამრევლო საყვედურს გამოუტაცებს მღვდლელს. შემდეგ იწყება მთელი მრევლის საჩივარი მღვდლზე, თუ ამ უკანასკნელმა როგორმე ვერ მოახერხა მრე- ვლის შერიგება.

ზემო ნათქვამისაგან ცხადათ ჩანს, რომ საქარ- თველოს საექსარხოსის მართლ-მადიდებელი სამწყ- სოის მდგომარეობა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მხრით ძლიერ სამწუხარო სურათს წარმოვეთებენ. ზემოთ დასახელებულ ხალხთა შორის უმრავლესობა ჯერ კიდევ თავის ძველებურ მდგომარეობაში იმყოფება და ძლიერ მცირედ აქვს შეთვისებული ქრისტეს სწავლა-მოძღვრება. საექსარხოსის სამწყსოის უდ ზნე-წვეულებათა და თავებდობის მოტივილება სხვა და სხვა ბიწიერ მიღრეკილებათა და ჩვეულებათა მოსპობა, ამაო მორწმუნე ჩვეულებათა აღმოთხრა, და აგრეთვე მოსპობა და შესუსტება იმ ცუდი ზედ- გავლენისა, რომელიც მართლ-მადიდებელთა ზედა ავქსთ «დეკანზებს», «ხევის ბერებს», მაჰმადის ალმასრებელთა მოლებს, შტუნდისტებს, ბაბრისტებს და სხვათა საზოგადოდ სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მხარეების ამაღლება მართლ-მადიდებელთა შორის შეიძლებოდა ქადაგებითი სიტყვით და მწყემთა მა- მაშვილური დარიგებით და სასულიერო განათლე- ბის გავრცელებით ახალ მოზარდ თაობათა შორის საეკლესიო-სამრევლო სკოლების შემწობით. მაგ-

რამ, სამწუხაროდ, საქართველოს საექსარხოსის სამღვდელოება, მათი ყოვლად უსამღვდელოებობის ექვარხოსის მოსხენებით, ამისთანა მოღვაწეობისათვის ნაკლებად არის მომზადებული არ არის ამგვარი მოღვაწეობისათვის და არც სასურველი კეთილი გავლენა აქვს თავის სამწყსოზე, ამის მიხედვით შეძლება დაგასახელოთ შემდეგი: 1) სამღვდელოებაში საკმაოდ არ არის გავრცელებული განათლება და 2) ხსენებული სამ- ღვდელოება ძლიერ ნაკლებად არის უზრუნველ ყოფილი ნიეთიერად. თუ რამდენად ნაკლებად არის განათლებული სამღვდელოება, ეს იქიდან ჩანს, რომ ირ მესამედ სამღვდელოებას ქართლის ეპარქიაში, რომელიც საექსარხოსის სხვა ეპარქიებზე გაყიდე- ბით მაღლა დგას სამღვდელოების განათლებით (გუ- რია-სამეგრელოს ეპარქიაში, მაგალითად, განათლე- ბული მღვდლები მთელს ეპარქიაში ერთი მეოცედა) არაერთი განათლება არ მიუღია, ანუ დაბალ სას- წავლებლებში უსწავლით ორი-სამი წელიწადი და შემდეგ მომზადებულან თავიანთი დიდი სამსახური- სათვის ან მონასტრებში ან სამრევლოებში, სადაც სამსახური დაუწყით, თითქმის, ეკალესის ყარაუ- ლის თანამდებობიდან. ამაებში ისეთებიც არიან, რო- მელთაც მხოლოდ თავისთვავად უსწავლით კითხვა, გალობა და ეკალესიური წესების აღსრულება. თა- ვისი მოუმზადებლობის გამო საექსარხოსის სამღ- ვდელოების უმეტეს ნაწილს არ შეუძლია ქადაგება და მასწავლებლობა და ამიტომ არც რაიმე კეთილი ზედაგავლენა აქვს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ამაღ- ლებაზე თავიანთ სამწყსოთა შორის, რომელმაც ქრისტეს სარწმუნოების პირველ დაწყებითი ჭეშმა- რიტებანი და მოძლიერებანიც კი არ იცის. ზემო აღნიშნულ მიხეზთა გმო სამღვდელოების უმეტე- სობას თავის მოვალეობის აღსრულებად მარტო წირვა-ლოცვის და ეკალესიური წესების შესრულება მიაჩნია და ესებით თუ შესრულა თავის დროზე, ფიქრობს, რომ ის სავსებით ასრულებს თავის მაღალ და საღმრთო მოვალეობას. ხედავდა რა ქართლის ეპარქიის სამღვდელოების გაუნათლებლობას და მისი მაღალი და საღმრთო მოვალეობისათვის შესაფერად მო- უმზადებლობას, რის გამო სამღვდელოებას შესაფერი ზედაგავლენა არა აქვს სამწყსოზე, მაღალ ყოვლად სამღვდელო ექსარხოსმა არა ერთ გზის მიმართა ქართლის სამღვდელოებას თხოვნით,— რომ მათ სიყ-

ეარულით და ერთსულობით მოჰკიდონ ხელი თავი-ანთ სულიერ შეილთა განათლების საქმეს. მაგრამ ესის მამაშვილური ოხოვნა-მუდარი სასურველად არ დაბოლოვდა: ხალხის სწავლების საქმეს და ღვთის-მსახურების გარეშე საუბრებს ხელი მოკიდეს მხო-ლოდ ქალაქების ზოგიერთთა მღვდლებშია და სოფ-ლის სამრევლოების მწყემსთა ძლიერ მცირე ნაწილ-მა. მაგრამ გასაცვირიც არ არის, რომ სამღვდლელოება სრულიად ივიწყებს როგორც თავის განათლებას ისე სამწყსოისასაც, ვინაიდგან ყოველი მათი ზრუნვა იმაზეა მიმართული, რომ ცოლშილს დღიური საზ-რდო მოუპოვონ: „თუ რამდენად ღარიბია ჩემდამი რწმუნებული საბლალობინოს მღვდლები“, სწერს ქართლის ეპარქიის ერთი ბლალობინი, ეს იქიდან ჩანს, რომ ზოგიერთი მღვდლები მარტო პურით ასაზრდოებენ თავიანთ სახლობას და იმასაც გაჭირ-ვებით შოთბენ“. ასეთი თავისი სილარიბის დროს სამღვდლოება თავის შვილების განათლებაზედაც არ ფიქრობს. დუშეთის საბლალობინოის ოლქის მღვდ-ლებთაგან მხოლოდ ერთი ზრდის შვილს სასწავლე-ბელში. მუდმივი ნაკლებობა, მუდმივი ზრუნვა დღი-ურ საზრდოზე ერთის მხრით მოცალებას არ აძ-ლებს სამღვდლოებას იზრუნოს თავის პირდაპირ მოვალეობათა სისრულით აღსრულებაზე, და მეორეს მხრით სიღრაბე აიძულებს მათ, რომ სხვა და სხვა მღვდლ-მოქმედების შესრულების დროს ევაჭრონ მრევლთ, რაც ძლიერ ამცირებს მწყემსთ ხალხის თვალში.

ვინაიდგან საქართველოს საქართველოს სამღვ-დელოების უმეტესი ნაწილი მომზადებული არ არის, რომ ეკლესიის კათედრიდან უქადაგოს ხალხს და სასწავლებლებშიაც მასწავლებლობა გასწიოს და იმ მიზნისათვისაც. რომ სამღვდლო კანლიდატები ჯე-როვანად იქმნენ მომზადებული, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც უნდა იმსახურონ იმ სამრევლოებში, რომელნიც მდებარეობენ საექსარხოსის განაპირა აღილებში, როგორმაც არიან: აფხაზეთი, სვანეთი და ყარსის სამფლობელო, ძლიერ საჭიროა მათი ყოვლად უსამღვდელოებობის ექსარხოსის განტა-დებით, გაისხნას ორი სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი—ერთი ყარსის სამღლობელოში და შეორე სოხუმის ეპარქიაში, და ეს რამდენათაც აღრე მოხდება, მით უფრო სასურველია, ვინაიდგან და სახელებულ აღილებში უფრო საჭიროა განათლებუ-

ლი მღვდლები, რომელთაც უნდა ეცრდინოსთ აღ-გილობრივი ენა. რადგან სხენებულ აღილებში არ იმექონებიან სასულიერო სასწავლებლები, ამიტომ აღილობითი სამღვდელოების განათლება შეუძლე-ბელია იმის გამო, რომ აღილობით სამღვდელოე-ბას შორეულ ქალაქებში არ შეუძლია შეილე-ბის წაყვანა ერთი სილარიბისა გამო და მეორეც იმისაცის, რომ ამ ქალაქებში ძვირად უჯდებათ შეილების შენახვა. ამიტომ მღვდლების შეილები უმეტესად სახლებში ჩემიან და ხელს ჰერდებენ სასოფლო მეურნეობას და ან სხვა წოდებაში გადა-დიან.

მფირფასი განძი

ყოვლად სამღვდლო კირიონმა კახეთიდგან ჩამოიტანა 68 ხელნაწერი და გაღმოსუა ტფილისის საეკლესიო მუხების. მოსალოდნელი იყო, რომ კა-ხეთი, ეს კურთხეული მხარე, სადაც უწინ ლამპრად განათლებისა ჰყვაოდა აკადემიები, დაიცავდა ჩეგნ უბადუკათვის ბევრს ძეირფასს წიგნს. მართლაც, შემოწირულ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა რამდე-ნიმე შესანიშნავი წიგნი. ამ წიგნების შესახებ ჩეგნ მოვილაპარაკებთ შემდებში, ხოლო აშ ვიტყვით რამდენსამე სიტყვას იმ ტყავზედ ნაწერ ხელნაწერის შესახებ, რომელსაც «ძეირფასი განძი» უწოდეო.

ეს დიდი და უჩინებულესად დასურათხატებული წიგნი არის სახარება, რომლის გადაწერა დასრულე-ბული 1059 წელს.

წიგნში მრავალი საყრდალებო ცნობებია სა-ხარების თარგმნისა, თემიტურაზ I. ისა და სხ. შესახებ. ყველა ამას ჩეგნ განვუზიარებო მკითხველებს ჩეგნს «საისტორიის და საბიბლიოგრაფიის წერილებში», ხოლო ამ მცირე შენიშვნის ბოლოს ჩავურთავთ იმას, რაც წიგნის უკანასკნელს არს გვერდზე სწერია.

„ქ. ადიდენ ღმერთმან ძლიერსა და უძლე-ცელსა! ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე-მან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოელისიმოს-მან ვამოიყვანა კოსტანტინოპოლით იოვან პრო-დროსი: მც ლიპარიტ ერისავათ ერისთავისა: პროცედროსისა და პატარხონისა და მოვიდეს“

კაცხს, ეკულესისა მათსა, თუესა აპრილსა: ია: დღესა, ახალკვრიაკესა: სრულმა არს ღუთისა მიერ დიდებად მთი ჟამთა ჟუნისამდე: ესე წყალობად მოხწია ღუთისა მიერ ჩუქნ მონათა მათთა ზედა მამასახლისიგაბასა გლახაკისა ქარდი- ლადასასა: ქრონიკონი იყო: სით: . (=1059 წ.).

შემდევ ასო მთავრულით:

ქ: არს: დიდის: კაცხის: მონასტრის:

გლეხი: ჯემლად: ასი: გაღმაგდოლმა: ზვარი:

და: სარეწე: (?) კახერიძის: მზღვრამდე:

კაცხს: სანალირო: კელ: შეოალად: სთვეზე:

კელ: შეოალად: ამენ:

სხვა სელით და ხევულის ჩინებულის მხედ- რულით აქვე ცალკე სტრიქონად:

ქ: შეფეთ: მეფე: ბაგრატ: გამტკიცებ: ..

(ერთი სიტყვა გადალეულია) ვამტკიცებ.

ჩვენს ~~«პალეოგრაფულ ნიმუშებს»~~, რომლის გამოცემა ითავა პატივუმულმა აკაკიმ, აკლდა ხელი გელათის განმახლებელის ბაგრატ მეფისა და დღე- იდგან მას დაამშვენებს ნაწერი იმ წარჩინებულ ხელ- მწიფისაც, რომელიც მარად იღვწიოდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის. („ივერია“)

გ ა მ 6 0.

იგი დათრთოდა ფერ-შემქრთალი, გაფითრე- ბული, არა ცრემლებით, — სისხლით თვალნი მას დანამოდა და მისი გული, შურით, მტრობით აზვირთებული, თავის ბუდიდან ამოხტომას თითქო ჰლამობდა.

მთელი არსება მისი ჰქეუბდა, ზღვასებრ გრგვი- ნავდა, ის შესვერპლს ელოდდა, უპირებდა ვილაცას შთან- თქმას და შვე-ბედითი ყორანიცა იქვე ჰჭრინავდა, აორკეცებდა რა მის სურვილს, ბოროტ გულის- თქმას..

შურით პყრობილი ის საშინლათ იტანჯებოდა, წამალს ექებდა საკურნებელს და ვერ ენახა; კბილების ლრქენით იგი ქვეყნათ იარებოდა... **«მოპკალი, მოპკალ!»** — ამ დროს ყურში ვინცხაშ ჩასახა.

ხუჭუჭ-თმიანი, შვენიერი, სახე-ნათელი, ვის თვალებშიც მაღლი ცისა მარად კროხბოდა, ვის გულშიც შარად ზეციური ენთ კანდელი და ვისიც გრძნობა ლეთიურ სიტყვით აითებოდა;

იგი, ვინც წელან მხირული, აღფრთოვნებული ცას შეპხრობდა, შვებას ჰერძნობდა ც უქ ნათელში, — შურით და მტრობით საზიზლარათ მოტყუებული თავ-გახეთქილი მმისგან ეგდო უწყალოთ ველში!..

და იმ დროს, როს მას ნაკადულებრ სისხლი სდიოდა, ცა და ქვეყანა შიშით თრთოდა და ზანზარედა! თვით დედა-მიწაც, თითქო შეკრთა, ცას შეჰკივიდა და ის კივილი, ის გლოვის ხმა გულს აზარებდა...

თითქო ბუნებაც ამეტყველდა, იჩინა ძალა და შორით-შორსა თავის-თავათ მასში გაისმა: «უმანკოება კაცის, ხედავთ, ვით შეიბლალა! სისხლი მაწუხებს... კაცმა შურით მოჰკლა თავის ხმა!..»

და მკვლელი იგი შიშით ძრწოდა შებლ-და- ბურული, მას ის კივილი, საშინელი გულში წვდებოდა და ის უმანკო, ვით ტარიგი, ცად შეწირული, სისხლში მგორავი მუდამ თვალ-წინ ელანდებოდა!..

და მას დევნიდა საშინელი იდუმალი ხმა, რისხეით და ზარით მასზე ზეცით გაღმოვლენილი: „კან, სად არის, აბა მითხარ, აბელ, შენი ძმა? ამიერიდან იყავ კრული, ცველგნით დევნილი!..“

იგი დაძრწოდა... მას უთრთოდა მთელი სხე- ული

და ვერსად ქვეყნად ვერ ეპოვა თავ-შესაფარი! მითვის ბუნება ჯიჯოხეთად იყო ქუეული... რისხეით დევნიდა ყოველი მხრით მას მთა და ბარი!..

და დედამიწაც იმის ფეხ-ქვეშ იზნიქებოდა, თითქო სიმძიმე საშინელი რამ დაწოლოდეს!

და იმ ცოდვის შვილს გრძნობა-აზრი ეკარგებოდა, ხსნას არ ელოდა, უმედო, ქვეყნათ აროდეს...

და იყო იგი მრავალ-ტანჯვეთ გულ-განაწინი... ის იტანჯოდა, სანამ სურდა მაღალს ნებასა და არა თუ აქ, ქვეყნაზე, საბრალო, მგონი, რომ საფლავშიაც ვერ ელირსა მოსვენებასა!..

დ. თომაშვილი.

ახალი მშები და შემაშვნები.

შორაპ. მაზრაში ექ. ვ. ღ-ძემ ისეთი შესანიშნავი პეტრაცია და ექიმობა შესარულა შშობიარე ლელაკა-ცემზე სოფ. სვირში, ვარძიაში, ლელვანში და ერთ ავათმყოფზე მუცელის მოშლის შემდეგ ს. შ—ში, რომ ყველა გააოცა მისმა დახმარებამ და ხალხი იღვიძებს, ცოტ-ცოტად თვალები ეხილება და რწმენას ჰკარგავს შეითხვებზე და სოფლის ექიმებზე, რომელნიც ასე უწყალიდ ატუშებენ მათ, ერთის მხრით ცარცვენ და მეორეს მხრით ამ ქვეყანას ათხოვებენ.

დიდ საჩივარს იწერებიან მღვდ. მ. ნიკიფორე თხილაშეილზე, რომელსაც ვითომუგარდაცვალებული არ შეესვენებინოს ეკალესიაში. ჩვენ ძლიერ გვიკვირს, როგორ არ შეასვენებინებდა მღვდელი გარცვალებულს ეკალესიაში, თუ რაიმე საშიშარი სახადით არ იყო გარდაცვალებული ავათ. იმედია სასულიერო მთავრობა კანონისამებრ მოექცევა ამ მღვდელს, თუ რაიმე უჯერო მოქმედება ჩაიდინა.

შავ ჭირთან საბრძოლველად და მის ასაშორებლად ოლდენბურგის პრინცს ალექსანდრე პეტრეს ქან უმაღლესად ებრძინა იმიერ-კასპიის მხარეში წა-სვლა. პრინცმა ამ დღეებში კიდევ გაიარა რკინის გზით ბაქომდის.

ქუთაისის გუბერნატორისაგან წინადადება მიეცა ამ ხანებში ექიმს ვ. ღ-ძეს სამარყანდში წასვლისათვეს უამის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ იგი არ დათანხმდა იმ მიზნით, რომ ხალხი შორაპნის მაზრაში თითქმის ლვითისანაბარად არის დაშთენილი ავათმყოფის დროს და მეითხვებისა და უბრალო ფერშლების ხელში არის ჩაგდებული და ეს გარემოება იქცეს მას შორაპნის მაზრაში და სხვაგან წასვლის ნებში არ აძლევს.

ბრეტონ კიქნაძეს რევოლუცირი ესროლია ერთმა ვაჟარმა კაციტაძემ. ტუვია მოხვდა ბექის ძვალზე და იქიდან შეკლავში გაჩერდა. ტუვია ექიმში ლამბაშიძემ გამოართვა ისე თარიღურად, რომ ტვივილიც არ გაუგია. ამავე ექიმში თხინი გირვანქა ბალლამი გამოუქიდა ერთ კიკნაძეს მკერდიდან, რომელიც ძლიერ შეწუხებული იყო და ბოლოს მკერდის გამოსარეცხად თოფურისას საბადამყოფოში ჭავზავნა. ეს ავათმყოფი დღეს კარგათ არის.

წასრულ კვირას ანჩისხატის ტაძარში მწირველი ბრძანდებიდა გრძელის ეპისკოპოსი ლეონიდი. ამბობენ, რომ ამის უმდევ ყოველ კვირა-უშემ დღეს ანჩისხატის ტაძარში იქმნება მუდამ მღვდელ-მთავრის წირვა ქართულის გალობრით, ამრიგად ძველს საკათალიკო ტაძარს ცვლავ უნდა დაუბრუნდეს თვისი მნიშვნელობა და წარსული დიდება რაოდენადმდე ზინკ. იმედია, რომ ქართველთა საზოგადოება გულუხვად ისარგებლებს ამ სულიერის საზრდოოთი და მხარს დაუშვენებს სასულიერო მთავრობის განკარგულებას. იმედია, რომ ანჩისხატის ეკალესია თავის შესაფერ ადგილს დაიკავებს განსაკუთრებით მამა პ. კარბელაშვილის წყალობით და თაოსნობით.

დეპეშით იუწყებიან, რომ ვენის საუნივერსიტეტო სავადამყოფოში შავი ჭირით მომკვდარა სა-ავადმყოფოს მსახური ბიჭი და ერთი ქალი და პროფესორი. ვენაში თურმე, ჭირი გაჩენილა ექიმების შეცნიერულ გამოკვლევის დროს, როცა ჭირს უკრინენ ტოველებს.

პეტერბურგიდან „კავკაზ“ დეპეშით აცნობებენ, რომ ფინანსთა სამინისტრომ საბოლოოდ გადაწყვიტა, დარსებული თბილისში სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილება, რომელსაც უფლება მიეცემა შეიძინოს ადგილ-მამული გადმოსახლებულ რუსებისათვეს, განსაკუთრებით ისალეთისა და საარსეთის საყურადღებო მოსაზღვრე ადგილებში.

სწორი და მეტნიერება ქრისტიანობის სამართლებასა და კუთილა-
ზნების გე

ღვამის კუთა

მამა კაცი და დედაკაცი.

V.

(რესულიდან)

თავის თავის დაბერობა ჭაბუკია.

გაგრძელება*.

ფლეტინი ამბობს:

„ყველა იქმნების თავისთვის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, ძლიერი ვინც არი, პატიოსანი, მართლის მოყვარე, მის ხელთ ქვეშ სუვერეს სიკოცხლე, უფლება და ბედის წერაც, მისთვის არ არის ადრეული, არც დახანებული არა რა ჩვენი საქმენი მაღლით არიან ან ბოროტებით მოსილნი, რომელიც თან სდევს ვით უჩინარი, მოუშორებელი აჩრდილი“.

სერ გერიხის ქოტონი:

„ბედნიერია, ვისაც ბუნებით

ან მუშაობით თავის თავზედა

მოუხვეჭია თავისუფლება,

არ გაუხდია თავი სხვის მონაც

უმან კო აზრი მისი ჯაჭვია,

ქვეშარიტება—ფარი და ხმალი.

ის არ ნდომილობს ვნებათ მონაბას,

და გულს არ უტეხს სიკვდილის შიში

დიდება-ქების მოყვარეობას

იგი ოდნავაც ვერ შეუბდალავს,

ვერ იმორჩილებს მას სიყვარული

ამაღლებისა და არც დაცემის,

ის არ პატრონობს ქრისტიანულს,

მაგრამ მფლობელობს მკაცრად თავის თავს,

არა რაც აქვს და მის ხელთ არის ყოველი“.

მილტონი სწერს: „ის, ვინც ერიდება და პა-
ტიოს სკემს ღვთის მსგავსებას, მის არსებაში დაბუ-

ღებულს, და ხედავს შუბლზედ ნიშანს გამოსყიდვი-
სას, დარწმუნებული უნდა იყენეს, რომ მას აქვს
უნარი ცეკვილ-შობილური და ღვთიური მოქმედე-
ბისათ“.

ფორდესიონი ამბობს ადამიანზე:

„ვინც არ შემკრთალა და განლიგვებულა და-
ისამის მარცხითა, კირში, თუ ლენში, უხვებაში, თუ მონებაში,
მრავალთა შორის სათავაშოს იმასა რჩებას,
რის მონაცემი მას ყველაზედ ძვირად ულირს,
ის დიდებული მხედარი არის, ვინაობას
ნდომობს ყოველი, ვინც სილალით აღჭურვილია“.

კოლრიდი:

„ყოველ გულ-კეთილ ადამის ტოშა ბევრი
უჩნს საუნჯე და მეგობრები,— მისი საუნჯე
სიყვარულია და სიწარებელე მშვიდი სულისა,
ჩუმი მსვლელობა აზრების, ბალლის წყარი სუნთქვაზე
მიმსგავსებული... სამი ერთგულნი მეგობრები,
ბევრად უერთგულესნი დღე და ღამზე,
თითონ არიან მისი შემწელი და ანგელოსიც აღა-
სრულისა“.

მატიუ არნოლდი:

„ოჰ, ხმავ ზეცისავ, საუკუნიდან ღვთაებრივ
სუფთა,
ჩემს გულს ჩასახი და იქ ჰპოებ გამოხმობასა,
მუნ გარდასწყვეტ იყვე თავისთვის: ვინც შენ მოგი-
ხვების,
მას ვერ იმონავებენ ცხოვრების სიავენია.“

კლოუ:

„თუ ჩვენს თავს ღრმად უკაირდებით, ყურს
უგდებთ გულის მოძრაობას,
ქვაშიაც ვპოებთ მაშინ პურსა, მკვდარს სულში
ვპოებთ სიცოცხლეს“,

ლევის მორისი:

„ევლტონე სულით, აზრებით, სიმართლე კუშ-
მარიტებას.

მაშინ იქნები შენ ბედნიერი, თუმცა პატივი ცოტა
გექნება.

სიმდიდრე—ხრწნადია, პატივი და დიდებაც წარმა-
ვალია,
ხოლო განცხრომა სულის სიმაღლეს ამბიმებს, ავიწ-
როებს

გაქვნდეს უმან კოება, იყავ ერთგული შენის ვალისა,

*) იზიდე „მწყემსი“ № 19, 1898 წ.

ნუ წარგიტაცებს სიამოცნება, ნურც გაშინებულ ტან-
გვინც სულის ამ ძალას მოიმკობს, ის მძლეველია
უველაფრის, უამისოდ კი ქვეყნის მპყრობელიც სუსტია, საწყა-
ლობელიც“.
«იყავ თავისოთვის ციხე სიმაგრედ, ან ლაშპარად
შენის საპურიბილესიო», ამბობს სხვა პოეტი.

ჩვენ პირველშივე უნდა აგვენიშნა, რომ ეს
საოცარი და მიუცილებელი ქეშმარიტება უწინარეს
სამღვთო წერილშია გამოცხადებული მაცხოვრის
მოკლე, მაგრამ გარკვეული სიტყვებში: «მოთმინე-
ბითა თქვენითა მოიპოოთ სული თქვენით».

თავის თავის დაცურობა მაღვ არ მოიხვევება. მას მხოლოდ დიდი შრომითა და ბრძოლით შეიძენს
ადამიანი.

რა გზით მოიგება თავის თავზე გამარჯვება? ამის შესახებ დიდი ხნიდან არის გამორკვეული ერთი
პასუხი. სხვა ახალი, თავისებური პასუხი ამ კითხვა-
ზედ უსაფუძვლო და სიცრუუ იქნება. ამის პასუხს
გვაძლეს ძველის ძველი, მაგრამ ამავ დროს ახალი
წიგნი, რომელსაც დედა უნდა გვასწავლიდეს ჩვენ: «ილვიძევდით და ილოცვედით, რათა არა შეხვიდეთ
განსაცდელს», სულითა ვიდოდეთ და ხურუთა ვნე-
ბათა ნუ ასრულებთ. კაცის სხეული ადვილად
დაეცემა და გაირყენება. დღეს თუ სწომიდის ჭურ-
ჭელია, ხვალ შეიძლება გახრწნილების ბუდეთ იქცეს,
რომელიც აივება მკვდართა ძვლებითა და ყოველ
გვარ არა წმიდებით. დღეს თუ საკურთხეველს ემს-
გავსება, ხვალ შეიძლება ეშმაკთა, ელქაჯთა და
მაცდურთა ბუნაგად გარდიქმნას. ადამიანის სული
შეიძლება კეთილთა საუნჯისაგან მხეცთა გალიად
გარდაიქცეს. მაგრამ არას გზით არ შეიძლება, რომ
ადამიანის არსება გაუპატიურდეს მთლად. მოუძლუ-
რებამ შეაშთოს, ჩააქროს ის ჩვენს არსებაში, მაგრამ
მთლად არ დასახირდება, იმიტომ, რომ ის უკვდავია,
ღვთავებრივი, ის ნაწილია ღვთავებისა, რომელიც ჩვენს
არსებაშია ჩანერგული, იმით ვემსგავსებით ჩვენ
ღმერთს. მაგრამ მტრედსაც არ შეუძლია აიტანოს
უწმილურს. აღვილებმი ფრენა, და სული წმიდას
გაფუჭებულს გულში ცხოვრება. მუდმივი ღვთის
ვედრებით და შეუწყვეტელი მოღვაწეობით. უნდა
დავიცვათ ჩვენი გულის უზაკვობა და სიწმიდე. წმ.
მოციქული პავლე იყო კაცი მესამე ცისა, მედევ-

ნელი ცისა», როგორც უწილებს გას ბერქენთა-
ეპკლესია, მაგრამ იგიც კი ამბობს: «ერთსა ვყოფ:
უკანასა მას დავივიწყებ და წინასა მას შეისწვდები,
ვეწაფი მაზანსა, და გვირგვინს ზეცისა ჩინებისა
ღრმთისა ქრისტეს იქსოს მეტრ... ამისათვის მე ვრბი
არა ისრედ ვითარუა უჩინოდ, ესრეთ ვიჭირვი, ვი-
თარუა არა ჰაერსა ვსცემ, არამედ აღვიყრძალავ
ხორცთა ჩემთა, და დავიმონებ სულსა ჩემსა, ნუ
უკვე სხვათა უქადაგებდე და მე გამოუცდელი ვიყო“.

ამ რიგად, როგორც ვხედავთ, გამარჯვება იმი-
სია, ვინც ძლიერია და გაბედული. მოიგონეთ, რო-
გორ მკაცრად და ხანგრძლივად ავარჯიშებდენ თავის-
თავს საბერძნებში ფალავნები და რომში გლადია-
ტორები (მოჭიდავენი). ამ გვარადე იქცევიან ჩვენს
დროს ისინიც, ვინც მონაწილეობას იღებს გონივ-
რულ თამაშობაში. უნდა ნახოთ, რა ბეჯითად ერი-
დებიან ღვინის სხას, რა მკაცრად მარჯულობენ,
როგორ წესიერად ვარჯიშობენ. თუ ესენი უარს
ყოფენ ამავებს, ერიდებიან იმისთვის, რომ ხრწილე-
ბადი, აღრე წარმავალი ჯილდო მიძღონ, რამდენი-
მეტი უნდა მოვიმიქოთ, რომ მივიღოთ «დაუკენო-
ბელი იგი დიდებისა გვირგვინი», გვირგვინი გაკუ-
თებული ციური, დაუჭირნობელი ძეგლისაგან? ღვთის-
შემდეგ, ეს ჩვენზეც არას დამოკიდებული.

«მე მრწამს, რომ სამარცხინო, მავნებელიაო,
იტყვის გარყვნილი, მაგრამ არ ძალ მის შეესცალო
ეს მმართულებაო: ძალა — სიცრუუო», ბანს მისცემს
ისეთივე თავდაეიწყებული უჯუნური. მაგრამ არა,
ჩვენზეც არის დამოკიდებული ჩვენი ისეთი თუ ისეთი
მდგომარეობა. ჩვენი სხეული ბალია, ხოლო მებალე
— ჩვენი ნებებლობა. შეინკარს დაესთეთ შიგ, თუ
ხესს, თუ ზირას, თუ უსუპს, სულ ერთნაირი ბალა-
ხით ავავსებთ, თუ მოავალ ფერი მცუარებით; უნა-
ყოფო გამოდგება, თუ ჩინებულად გაშენებული —
ყოველს შემთხვევაში ეს ჩვენს ნებებლობაზეც არის
დამოკიდებული, მისი მოვლა ჩვენს ხელთ ქვეშაა.
ჩვენი ცხოვრების სასწორზეც რომ გონება არ იდვეს,
რომელიც პირის პირ უდგას გრძნობიერებას — მაშინ
სიმურებალე სისხლისა და მდაბალი სურვილები სა-
ზარლად დაგვასახირებდენ, მაგრამ ჩვენ გაძეს გო-
ნება, რათა მით გავაძრიელოთ გახურვებული გრძნო-
ბიერება, ჩვენი თავ აშვებული სურვილები.

შიო-მღვიმის მონასტერი.

საქართველოს ყველა მონასტრებში განსაკუთრებით შესანიშნავია თვეის სიძველით შიო-მღვიმის მონასტერი; იგი მცხეთიდგან მდებარეობს ჩრდილოეთ-დასავლეთით. თბილისიდან ამ მონასტრამდის არის 30 კერძი, ხოლო მცხეთიდან 10. ამ ადგილს, რომელიც დღეს მონასტრეს უქერია, ეძახია სარკინეთს, რაღაც აქ უწინ რკინის მაღანი ყოფილა. ჯერ კი-დევ იქსო ქრისტეს დაბადებამდე, როგორც მოგვითხრობენ საქართველოს მატიანენი, ამ ადგილზე ყოფილა გამოქვებული საცხოვრებელი მღვიმები, რომლებიც როგორც ზეპირ-გაზმიუმებით ვიკით, დაუნ-გრევა ალექსანდრე მაკედონელის ჯარს. ამ ადგილზე ერთ იმ 13 სირიელ მამათაგანს, რომელნიც მოსულან საქართველოში მეექესე საუკუნეში და სახელ-დობ, შიოს აღმშენებია ვრცელი უდაბნო ბერ-მონაზონთავის. ამ მღვიმეთა რიცხვს შემდეგში იძლენა დაუმატია, რომ მათში, როგორც ვაზუშტი მოგვითხრობს 5,000 ბერ-მონაზონი საცხოვრებლნენ. 1845 წელში ამ მღვიმეთა რიცხვი, როგორც ამბობს პლატონ იოსელინი, ათასმდე ყოფილა. ეს მღვიმები გა-ფანტული ირიან მთის ფერდობზე და დღეს ბევრ მათგანს კაცი ვერც კი მიუღება. ზოგიერთ ამ დვი-მეტში არის ეკლესია კანკელით. განსაკუთრებით ბევრი მღვიმები ყოფილან გამოქვებულნი თვით მთის წმინდებულების ძირში.

შიო-მღვიმის მონასტერში მიღის სამი გზა: ერთი გზა მიღის მუხრანიდან და მის მახლობლად მდებარე სოფელებიდან, მაგრამ ეს გზა ძალიან ცუდი სა-სიარულოა, რადგან გაყანილია ხრამებზე და მაღალ ციცაბო კლდებზე; მეორე გზა მიღის სამხრეთ ქართ-ლიდან, მაგრამ აქ გზავრს წინ უზვდება მდინარე მტკვარი, რომელზედაც გადი-გამოლიან მონასტრის ნავით; მეორე გზა მიღის მცხეთიდან. ეს უკანასკე-ლი გზა არის გაყანილი მთის ქედზე, რომელზედაც იქსო ქრისტეს დაბადებამდე მდებარეობდა სატახტო ქალაქი, სადაც დღესაც მოსჩანან შენობათა ნანგრე-ვები. მთის ქედის მეორე მხრით უნდა დაუყვე დაქა-ნებულ გზას, რომელიც გაივლის ერთ ხრამზე, რო-მელსაც ჯოჯოხეთის გზას ეძახიან. მონასტრით მდებარეობს მშვენიერი ტყიანი მთა, რომელზედაც აღშენებულია ჯვართ-ამაღლების გუმბათიანი ეკ-

კლებია. იგი შიგნით მშვენიერად არის დახა-ტული. ამ ეკლესიიდან თავს დასტერებიხარ იმ არე-მარეს, რომელზედაც მდებარეობს თვით მონასტერი და სხვა შენობები, რომელნიც მონასტრეს ეკუ-თვინიან. დევლი მონასტრის ბერ-მონაზონთა საცხოვ-რებელ მღვიმეთაგან დარჩენილა დღეს მხოლოდ ერთი მღვიმე, რომელიც შემთა სასალილო თახა ყოფილია. ამ მღვიმეში დღესაც მოსჩანების ერთი მიღი, რომლის საშუალებით მღვიმეში შემონავაღალა წყარის წყალი; ეს მიღი გაუკეთებიათ მეთორმეტე საუკუნე-ში, ხოლო მეორამეტე საუკუნეში ამ შილიდან წყლის დენა შეწყვეტილა.

შიო-მღვიმის მონასტერი ზედა-ზენის მონასტრის შემდეგ, რომელიც დაუარსებია ასირიელ მიმათ უმტროსს ითანენს, ითვლებოდა პირველ მონასტრად. რადგან ამ უდაბნოში ბევრი ბერ-მონაზონი საცხო-რობდნენ, ამიტომ იგი იწოდებოდა ლავრად, რო-მელსაც მართავდა წინამდღვრი არქიმანდრიტის ხა-რისხით. ამ მონასტრის წინამდღვართაგან განსაკუთ-რებით შესანიშნავი არიან: ევგრი, მოწაფე წმ. შიოსი, —ნეოფიტი; ეს ნეოფიტე პირველად ჰერსის ჯართა უფროსი ყოფილა და სახელად ომარი რქმევია. ქრის-ტიანობის მიღების შემდეგ დაერქვა ნეოფიტე, რო-მელიც მეშვიდე საუკუნეში შიო-მღვიმის მონასტრის წინამდღვრობისაგან აღყანილ იქმა ურბნისის ეპის-კოპოსად.

შიო-მღვიმის მონასტერს ბევრი ადგილები ჰქონდა და გლეხებიც ჰქონდა, შეფეხებისაგან ნაბოძები; მხო-ლოდ მონასტერს ჰქონდა თევზის ჰერის უფლება მდინარე მტკვარზე იმ ადგილებში, რომელნიც მო-ნასტრის მახლობლად მდებარეობდნენ, მონასტერს ჰქონდა მშვენიერი ვენახი სოფელ ძეგვში.

შიო-მღვიმის მონასტერში არის სამი ტაძარი: უმთავრესი ტაძარი აღშენებული გაუთლელი ქვესაგან. ეს ტაძარი, როგორც ზეპირ-გაღმოცემა მოგვითხრობს, აღშენებულია თვითონ წმ. შიოს სიცოცხლეში. იგი აღშენებულია ითანენ ნათლის-მცემლის დაბადების სახლობაზე; ამ ტაძარს იქნას მიშენებული თახი ეგვტერი, რომელნიც, როგორც ჩანს, ამ უკანასკ-ნელ დროს არიან აღშენებული. ამ ტაძარის ერთი წარწერა გვარწმუნებს, რომ როგორც თვითონ, ისე მრავალი თაღი, შეუკეთებია 1730 წელში გივი ამილახვარს, რომელიც ითვლება თბილისის ქაშვეთის ეკკლესიის აღმაშენებულად. ეს ტაძარი, როგორც ეკკლესიის

ოქტომბერის ჩანს, იწოდება სამეუფლო. უმთავრესი ტაძრის ეგვერებში იმარხებოდენ ლილ-გვარეულობათა სხვა-და სხვა პირი. ამ ტაძრში არის მღვიმე, სიმღლით ხუთი საკუნი. მღვიმეს უკანიდან აქვს კარები, რომელიც შეუწირავს ზაპ-აბაზს, ამ მღვიმეში არის სასაფლაო ღირსი. ამ სასაფლაოს მორთულობა და ტაძრის კანკელი 1725 წელში რუსეთიდან გამოუგზავნია საქართველოს მეფეს ვახტანგ მეექვეს.

მეორე ტაძრის, რომელიც ლვითი-მშობლის მინების სახელზე არის აღშენებული, გუმბათი არა აქვს. თაღი ანგურისაგან აქვს გაკეთებული. არავინ იცის, თუ ვისი აღშენებულია ეს ტაძარი. ეს ტაძარიც, როგორც ზედ-წარწერისაგანა სჩანს, გვინ ამილახვარს შეუკეთებია. მესამე ტაძარი აღშენებულია თვით წმ. შიოს სახელზე, იგი ორივე ტაძარზე მორჩილია და თვით მონასტრის შესავალთან არის აღშენებული. ეს ტაძარი უყურადღებოდ არის მიტობული, ისადგილი, რომელზედაც ეს ტაძარი არის აშენებული, ყოფილა თავდაპირველი საცხოვრებელი გინა წმ. შიოსი. ამ ადგილიდნ ცოტა მოშორებით არის წმ. შიოს მღვიმე.

შიო-მღვიმის მონასტრის ჰერნდა მდიდრული სამკულები, მაგრამ საქართველოს ისტორიულ უზედურ დროთა გამო ეს სიმღიდეებ ისე გაიბნა, რომ არასფერი აღარ დარჩენილა მათგან.

1743 წელში ეს მონასტრი სულ უპატრონოდ დარჩენილია, იმიტომ ყველა ის ოქროს ხატები, რომ მეღლნიც კი ამ მონასტრში ყოფილია ამ დროს, წაულიათ თავად ამილახვერების და საქართველოს სხვა-და-სხვა ეკლესიებში დაუსცენებით. ყველა ეს ხატები გაკეთებული არიან მეორძრმეტე საუკუნეში.

ამ მონასტრში ყოფილი აგრეთვე ბევრი წიგნები, ეტრატზე ნაწერნი, მაგრამ ყველა ესები, სამწუხაროდ, დაუწვავს მემბოხეთა, ზოგიერთი ხელთნაწერები და წიგნები, რომელნიც კი მტრის ხელს გადარჩენი, შეუკრებია. 1755 წელში ქათოლიკოსს დომენტი მესამეს. ყველა ეს ხელთნაწერები და წიგნები საღვთის-მეტყველო შინაარსიანი არიან. ყველა იმ ზედ-წარწერათაგან, რომელნიც ზემოთ აღნიშნულ ხელ-ნაწერებზე და წიგნებზე, შესანიშნავია ორი; ერთი ზედ-წარწერა არის «აპოკალიპსის» განმარტებაზე 966 წლისა და 1270 წლის სახარებაზე; როგორც ამ ზედ-წარწერათაგან სჩანს, პირველი დაწერილია

საბერძნეთში, წმ. ულუმბის მთაზე, კრალის მონასტრში, ბასილი და კონსტანტინეს მეფობის დროს. მეორე ზედ-წარწერისაგან ჩანს, რომ სახარება 1270 წლაუწერია ვიღაცა მღვდელს — გიორგის წინამდღვართ ზოსმე და გასილის დროს.

მონასტრის ოქმებში განსაკუთრებით შესანიშნავია პირველად მეფის დავით აღმაშენებელის ანდერძა, რომელზედაც არ არის აღნიშნული წელიწადი; ამ ანდერძში მოხსენებულია, რომ მიძინების ტაძარი აღაშენა მან მეორმეტე საუკუნეში და მეორე აქმი თამარ-დედოფლისა, რომელიც დამტკიცებულია მისი შეილის-შვილის დავით მეხუთისაგან; აქმი დაწერილია ჭყანდიდელი ეპისკოპოსის ანტონისაგან, რომელიც თავისთვის «მწიფონბარს», უწინდებდანამდეინია, რომ ეს აქმი ძევლ დროს ეკუთვნის. ანტონი მართლა სცხოვრებდა დელფინის თამარის დროს და საქართველოს ყველა მიტროპოლიტებში იწიდებოდა პირველად.

ეს შიო-მღვიმის მონასტრი, რომელიც ოდესმე ასე შესანიშნავი ყოფილა საქართველოში თვის სიმღიდრით და ბერ-მონაზონთა რიცხვით, დროთა-ვითარებისა გამო ისე დაეცა ამ უკანასკნელ დროს, რომ იგი მიწერილ იქნა თბილისის ფერის ცვალების დარიის მონასტრზე. მაგრამ შემდეგში მას ბეჭმა ისევ გაუღიმა და იგი შეიქმნა დამოუკიდებელ მონასტრად. ამ საქმეში დიდი დვაწლი მიუძღვის ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს, გურამ-სამეგრ. ეპისკოპოსს, რომელმაც მონასტრის სასარგებლოდ შესწირა 22 ათასი მანეთი, იმ პირობით, რომ ამ შეწერული ფულის სარგებლით ინახებოდეს ამ მონასტრში ითხი ბერ-მონაზონი, ორი მთავარი და რამდენიმე მორჩილი. ამის გამო ეს მონასტრი ხელ-ახლად შეიქმნა დამოუკიდებელ მონასტრად და მისი ყველა მამულები, რომლებიც დღემდის მიწერილი იყვნენ შრატის სხვა მონასტრებზე, ხელ-ახლად დაუბრუნდა შიო-მღვიმის მონასტრის. დღეს ამ მონასტრის წინამდღვრად ბრძანდება ყოვლად სამღვდელო ლეონიდი.

აღმართ აღმართ ლიკისის გამისა ჩვენისა ზო. ზიონი.

ლიკის შიო სირიელი იყო ქალაქ ანტიოქიიდამ. ის



წმიდა ლირსი მამა ჩვენი შიო-მღვიმელი

ერთად-ერთი მემკვიდრე იყო მღილარი დედ-მამისა, გაიგო ამბავი ლილი მოღვაწის იოანნესი, რომელიც წმ. ჰიომ პატარაობილგანვე გამოიჩინა სჯულის და თავის მოწიაფებით ანტიოქიის ახლო უდაბნოში საღვთო საგნების სიყვარული და სიყრმეშივე ღრმად სცხოვებდა, მივიდა ამ მოღვაწის სანახვად და ისე შეისწავლა საღმრთო წერილი. ოცის წლის შიომ მოეწონა ბერების ცხოვრება, რომ სამუღამოდ იმათ-

თან დარჩენა მოინდობა; მხოლოდ სწუხდა, ვაი თუ დედ-მამამ ნება არ დამრთოს. მომზადის მცოდნე ითანებულაშვილი ის და იმკრო, რომ თეთონ იმისი დედ-მამა მიიღებენ ანგელოზებრ სახეს, წავლენ მონასტრებში და ამით მისცემნ იმას ნებას, როგორც ჰსურს, ისე მოიქცეს. მართლა შიოს დედ-მამა მონასტრებში წავიდნენ და მთელი თავიანთი ქონება შვილს დაუტევეს. შიო ეწია თავის გულის წადილს: მისუა თავისი ქონება გლოხაკთ და წავიდა უდაბნოში მ. ითანებთან. ამ უდაბნოში იმან ოცი წელიწადი გაატარა მოღვაწეობაში.

ღირსმა ითანებ მიიღო ზეგარდმო განცხადება ამოერჩია თავის მოწაფეთაგან თორმეტი, წასულიყო ივერიაში და დაეყორებინა ქრისტეს სარწმუნოებაზე ქართველები. სხვათა შირის, ლირს შიოც იქმა ამორჩეული. ივერიაში წმ. მამები ზედაზენის მთაზედ დაბინავდნენ. აქ, ამ მთაზედ მ. ითანებ იხილა ჩვენება: ყოვლად წმ. ღვთის მშობელი გამოეცხადა და უბრძანა მასს გაეგზავნა თავის მოწაფები საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში საქალაგებლად. ყველანი წაფინანს, მხოლოდ ღირსმა შიომ, როგორც განკერძობულის ცხოვრების მოყვარულმა, გამოსთხოვა თავის მოძღვარს უდაბნოში წასვლის ნება, მიიღო ლოცვა-კურთხევა იმისაგან და საქართველოს მა-შინდელი ქათალიკოზის ევლაცესაგან დაბინავდა მცხ-თის მახლობლიად უდაბნოში, ერთ გამოქვაბულ ადგილას. მაგრამ ღირსი შიო ნათლით შემოსილი იყო და მისი სიწმიდის შუქი აქიდამიც გამოჰქონდა და გაანათა არე-მარე.

ვინმე ევაგრი ღიდებული და განთქმული მხ-დარი, ერთხელ ნატირობით გართული, მივიდა უდაბ-ნოში, სადაც ღირსი შიო იყო, მოულოდნელად წაადგა მღვიმეს და მასში ნახა მოხუცი, ძრიელ შეკრთა. განცვიფრებულმა ევაგრიმ ჰკითხა მოხუცს ვინაობა. «ე, მიუგო წმიდანმა, ვინმე მწირი ვარ და აქ ვადღლობ ღმერთსა. ევაგრიმ იგრძნო მოხუცისადმი ღრმა სიყვა-რული და პატივის-ცემა; იმან ძრიელ მოანდობა მიე-ბაძნა მოხუცისათვის და განცხადა: მე აღარა მსურს შინ დაბრუნება, არამედ მსურს თქვენთან მოღვაწეობა. წმიდანმა ურჩია ევაგრის ღმერტებულიყო შინ, რადგან ფიქრობდა, რომ ევაგრი მზად არ იყო ამისთანა მსხვერპლისათვის, მაგრამ მტკიცეთ ადგა თავის სიტყვას წმიდანმა მაინც უბრძანა მასს დაბრუნებულიყო შინ უკანასკნელის განკარგულების მოსახლენად და

იმის სარწმუნოების გამოსაცდელად და აგრეთვე ღვთის ნების გასაცემად; მისუა თავის კვერთი და უთხრა, რომ გზაზედ იმ კვერთხთი გაეპო მდინარე-ევაგრიმ ასრულა ბრძანება. მდინარემ მისუა იმას გა. ევაგრიმ მისუა მთელი თავისი ქონება გლახაკებს და დაბრუნდა მოხუცთან. ეს პირველი მოწაფე იყო შიოსი. ამას მოჰყენენ სხვებიც. იმის მოწაფე-ების რიცხვი გამრავლდა. უდაბნოში გაისმა ხმა მღა-ლადებოლთა.

მოღვაწეებს ეკკლესია დასკირდათ და სტხოვეს. თავის მოძღვარს აეშენებინა იშათოვის საყდარი. ღირსი შიო თავის მოწაფეებით დადგა ლოცვად და ეველრებოდა ღმერთს გამოეცხადებინა იმისათვის თა-ვისი ნება ამ განზრახვების შესახებ. წმიდანმა საცე-ლურის მაგივრად ხელის გულზედ დაიკმია საქმევე-ლი. ცეცხლმა ხელი არ დასწევა. წმიდანი გაჰყუა სა-კმიეველის კვამლს, სანამ კვამლმა პირ-და-პირ ცისკენ არ აიწია და ამ ადგილს თავისი კვერთხთი სამი ეკ-კლესის ადგილი დასახა. ამ გვარად ტაძრების აღ-გილი ზეგარდამო იყო ნაჩვენები.

წმიდა მოღვაწეებს არა ჰქონდათ შეძლება აეშე-ნებიათ ეკკლესიები. მაგრამ იმედი ჰქონდათ, რომ ღმერთი უჩვენებდა იმათ სახსარს. ასეც მოხდა. სა-ქართველოს მაშინდელ შეფეს ფარსების ძრიელ უყ-ვარდა ღიდებული ევაგრე და მოანდობა მისი ნახვა. მიბრძანდა უდაბნოში. შეფეს ევაგრის მოძღვარიც ნახა აქ და ღიდი პატივი სკა იმას. ფარსებანმა მოხუ-ცის წინ მოიხადა თავისი სამეფო გვირგვინი და ისე, ამბორს უყო იმას. ღირსმა შიომ თავის ხელით და-ხურა შეფეს გვირგვინი და აკურთხა. ფარსებანმა აღუ-თქვა მოხუცს შემწეობა და, როდესაც გაიგო ევაგ-რისაგან, რომ იმათ ჰსურთ ეკკლესიები აღაშენინ, და ალაგიც არის ამისათვის ნაჩვენები, მაგრამ შეიძლება არა აქესთ, თითონ აღაშენა ეს ეკკლესიებიდ და იმათ კურთხევაზედ თვითონ დაესწრო. ეკკლესიები ქათო-ლიკოზმა მაკარმა აკურთხა. ამის შემდეგ წმიდანთა მოწაფეების რიცხვიმ უფრო იმატა და მოძღვარამ იმათ იქვე ახლო სხვა უდაბნო დაუწესა. ღირსმა შიომაც ეხლა სხვა მღვიმე გაიკეთა ითანენ წინამორბედის ეკ-კლესის ქვეშ და იქ განაგრძობდა თავის მოღვაწე-ობას.

ბოლოს წმიდა შიომ განიჩრახა დახშულიყო მღვიმეში, გამოუსვლელად ყოფილიყო იქ. გმისთ-ხოვა ამის ნება ღრმად მოხუცებულ ითანენ და აგ-

რეფერენციალურ მიიღო კურთხევა ქათალიკოზისაგან. გამოუ-
ცხადა თავისი განზრახება მოწაფეებს, დაუყენა იმათ
თავის მაგივრად წინაშძლვრად ევაგრე და ცოტალი
დაიმარხა ქრისტეს სიყვარულისათვის. მოძღვარის პურს
და წყალს მთხრებლის პირიდამ აწედიდნენ მოწაფეები.
ლვაწლმა და მარხულობამ გაახმო, დალია მისი სხე-
ული, გარნა მისი სული გამოწყინდებოდა და უკვე
ჰგრძნობდა სიახლოეს მაცხოვრისას.

მოვიდა ლირისის შიოს ალსასრულის დღე; იმან
შიოლ წმ. საიდუმლო და განისვენა. ანდეისაგრძე
ის იმ მღვიმეშივე დამარხეს. ეს მეშვიდე საუკუნეში
მოხდა. 1617 წელს შავ-აბაზმა დააქცია და აიღო
შიო მღვიმელის მონასტერი. წმიდანის გვამი სპარსეთ-
ში წააღმართა. შემდეგ ში წმიდანის ნაწილები ისევ
დააბრუნეს საქართველოში და დაასვენეს იმავე მო-
ნასტერში, სადაც ახლაც ასვენია. წ. ეკკლესია ლირისი
შიოს ხენებას დღესასწაულობს მაისის 9-ს და ცვე-
ლივრის ხეთშებათს, როდესაც წმიდანის ნაწილს
ამოილებენ ხოლმე თაყვანისაცემლად.

შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი
წერილები:

I

„მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი¹
პატივუცემული უურნალის „მწყემსი“-ს საშუალებით
გულწრფელი მადლობა გამოუცხადოთ ჩემის მხრით
დ. ზუგდიდის მოვაჭრეს აზ. სპირიდონ დ. დგებუაძეს,
რომელიც შემოსწირა რწმუნებულ ჩემდამი კიშის
წმ. გიორგის ეკკლესიას შემდეგი ნივთები: ბარძიმ-
ფეშეუმი თავის მოწყობილობით. ვისურვებ, რომ
ზემორე ხენებულის პირის კეთილი მაგალითისათვის
მიებაძოსთ აქაური მამულის შვილებსაც და აღმოე-
ჩინოსთ თავიანთი ღარიბი ეკკლესისთვის რაიმე
შემწეობა.

მღვდელი სამსონ ჩაჩიბაია.

II

ვულითადს მადლობას ცუძღნით როგორც ჩვენ
კრებულნი, აგრეთვე ჩვენდამი რწმუნებული ქვი-
ტირის წმ. გიორგის ეკკლესიის მრევლნ ქ. ფოთის
მეორე გილდის ვაჭარს კოსტა რუხაძეს, რომელიც
ზემოხსნებულ ეკკლესიას შემოსწირა ერთი ჯვარი
და ერთიც ტრაპეზიზე დასადგმელი კარგად შემწყ-

ბილი სანაწილე ფრაგისა, სულ ლირებული 50 მან.
და შემდეგისათვისაც გვპირდება ეკკლესის შემო-
მწირველობას.

ქვიტირის ეპ. მღვ. პავლე ბაზრაძე.

III

„მ. რედაქტორი! უმორჩილესად გთხოვთ, რომ
თქვენის პატივუცემულის უურნალის „მწყემსი“-ს
საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ჩემგან და
ჩემის მონასტრის ძმათაგან, რაქის მაზრის, სოფელ
ხვანჭარის მცხოვრებს თ. ქაიხოსრო ყიფიანს, რო-
მელმაც შემოსწირა 500 გ. რწმუნებულს ჩემდამი
კელიშის მონასტრის გალავნის გასკეთებლად; ხე-
ნგბული გალავანი კიდევაც გაკეთდა ერეთის შე-
მოწირულებითის საშუალებით 108 საკ. სიგრძეზე
და 1 საეკის სიმაღლეზე.

პელიშის მონასტრის წინაშძღვარი არქის. დანიელი

IV

მ. რ! გთხოვთ მორჩილად ნება გვიბოძოთ გუ-
ლითადი მადლობა გამოუცხადოთ ბ. კოსტანტინე
ბაქრაძეს, სტეფან ფერეროვს და ლიმიტრი ბახტა-
ძეს, რომელთაც შემოსწირები ჩვენი სავნის სასარგე-
ბლოდ პირველმა და მეორემ სამ-სამი მან., ხოლო
უკანასკნელმა 5, მან.

მათხოვჯის სავანის წინაშძღვარი შერდებული.

განცხადებანი.

ი ს ზ ი დ ე ბ ა

შკოლებისათვის სახელმძღვანელო

♦♦ ქართულ-რუსული წიგნები, ♦♦

რ კ ე უ ლ ე ბ ა დ ა ს ს.

ამასთან ვლებულობ ყოველგვარ წიგნებს გა-
საყიდლათ საკომისიოთ.

აქვე იყიდება «გალანტურერინი» და „ბაჟალე-
ინი“ საქონელი. უმორჩილესად ვთხოვ პატივუცემულ
საზოგადოებას, ნუ დასტოვებს ჩემს მაღაზიას უყუ-
რადლებოთ.

მეორე გილდის ვაჭარი ქიშვარდი ოქრ. ხუნდაძე.

2 979
1898 № 20

სახელმძღვანელონი დ სხვა საკითხები წიგნები,
დაწერილი იაკობ გოგება შგაღისამერ.

დ ე დ ე კ ე ნ ს, ანუ ანბანი და პრეცედი საკითხები წიგნი, საერო და სამარტინო სკოლებში სახმარებელი, მე-11-ტე შექსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხების საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ყართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის ჩემარებელთ აღარ მოუწოდებათ სკიდვა არც სახატავებისა და არც დევანისა. ვაი ისე ეკეტება შაურია, ყდით ორი აბაზი. მს წიგნი მოწონებულია და ძართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კა.

გ უ ნ ი გ ი ს კ ე რ ი, ანუ საკითხები წიგნი, უმკროსს კლასში სახმარებელი, მერვე გამოცემა შემცული სურათებით და საკართველოს ქართია, დაბეჭდილია წერა-კითხების საზოგადოების მიერ. უსიყიდოთ ოთხაბაზ უხალთუნი (90 კა.). უყოფთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდეს ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცა—თურაბერ შაურად და ვინც ოც-და ათსა—თოთხმეტ შაურად. მს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «მშენებელი სახელმძღვანელო ძართულის ენისა» და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

გ მ გ მ რ ი, ანუ ანბანი და პრეცედი საკითხები წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა შეკვე, ფასი ორი შაური ნარიდათ 8 კაპეირი.

გ მ გ მ რ ი საყმაწერო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდან, მეოთხე გამოცემა, სურათებანი, ფასი ათი შაური. ვინც ნალც ფულზედ იყიდეს ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცათა აბაზათ: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

გ მ გ მ რ ი, ანუ რესულთა ლექსთა კრება მოგრძილ ყობათაცების, მეორე გამოცემა, ფასი ექვე შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

გ უ ნ ი გ ი ს, ანუ საყმაწერო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსა და სინოდისაგან.

სავნენსმ რს ჰქმენ? მოთხრობა მოზრდილი ყვანილებისათვის, მეორე სურათებინი გამოცემა ფ. 10 კ. ხატის მიზიდვი? საყმაწერო მოთხრობა, ფასი შაური.

ს კ ი ნ ი ს მ შ მ ი ლ ი ს მ ე ც ე რ ე კ ლ ე ს ს უ რ ა თ ი თ, და ქ რ ტ ი ა, მეორე გამოც. ფა 10 კ.

მ ი რ ი მ ა რ ი უ რ ა ლ ი მ ა რ ი ს ტ უ რ ა, პ უ ბ ლ ი კ ი ს ტ უ რ ა, წ ე რ ი ლ ი დ ე დ ა ე ნ ი ა, მ ი ნ ი შ ე რ ე ლ ი ბ ი ს მ ე ს ა ხ ე ბ კ ი რ ი ძ ა დ ა მ ი ნ ი ს დ ა მ თ ე ლ ი ს ე რ ი ს ც ხ ვ დ რ ე ბ ა ს ა დ ა წ ა რ მ ა ტ ე ბ ა მ ი ს, ფ ა რ ი ე რ თ ი ა ბ ა ზ ი ...

თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი ს მ ა რ ი ვ ლ ი, ი ს ტ ი რ ი უ ლ ი მ ი თ ხ რ ი ა ნ ი, დ ა ს უ რ ა თ ე ბ უ ლ ი, ფ ა ს ი ო რ ი შ ა უ რ ი.

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, издание четвертое, цѣна 40 копѣекъ, въ переплѣтѣ 40 ко пѣкъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, издание третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплѣтѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподаванію русского языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русского Слова“ одобрены въ качестве учебного руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для учащихъ“, одобрено для библиотекъ визшихъ и средничихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебного охруга, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденіемъ Господина Главноначальствующимъ. (смогри „Сборникъ“ распоряженій по управлению Кавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967)

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано. „Русское Слово“ духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

უ ე ლ ა ეს წ ე გ ნ ე ბ ი უ მ თ ა გ რ ე ს ა დ ი ყ ი დ ე ბ ა : თ ბ ი ლ ი ბ ში წ ე რ ა - კ ი თ ხ ე ბ ი ს ს ა ზ ი გ ა დ ი ე ბ ი ს მ ა ლ ა ზ ი ა შ ი ქ უ ფ ა ს შ ი : ბ ე ფ წ ე ბ ი შ ი ლ ა თ ა ნ დ კ ი ლ ა დ ა ხ ე ს თ ა ნ დ ა ხ ე ს თ ა ნ , ბ ა თ უ მ ი თ ა ვ ა რ თ ე ტ ე ლ ა დ ე ბ ი თ ა ნ დ ა ხ ე ს თ ა ნ , ფ ი რ ა ტ ე ბ ი თ ა ვ ა რ თ ე ტ ე ლ ა დ ე ბ ი თ ა ნ , ლ ა ნ ბ ხ ე ტ შ ი კ ი ნ ც ა ძ ე ს თ ა ნ , ს უ ხ ე შ ი კ ა ვ წ ა ნ ძ ე ს თ ა ნ , უ კ ა ი ლ ა შ — ა რ ა ბ ძ ე ს თ ა ნ , ს ხ ხ ე რ ე შ ი კ ა მ ა ნ ჩ ე ბ ძ ე ს თ ა ნ , ს უ რ ა მ ა შ ი დ ა ხ ე ტ ე ბ ი თ ა ნ , ს უ რ ა მ ა შ ი დ ა ხ ე ტ ე ბ ი თ ა ნ , გ ლ რ ა შ ი კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ს თ ა ნ , თ ე ლ ა ვ ა შ ი დ ა ხ ე ტ ე ბ ი თ ა ნ , ს ი ლ ნ ა ლ ა შ ა მ ხ ა ნ გ ლ ა ბ ი ს მ ა ლ ა ზ ი ა შ ი , გ ლ ა დ ი კ ა ვ ა კ ა ვ ა შ ა მ ს წ ა ვ ე ლ ე ბ ე ლ ბ ი ც ი კ ა რ ა შ ე ი ლ ა თ ა ნ , ს ი ლ ნ ა ლ ა შ ა მ ხ ა ნ გ ლ ა ბ ი ს მ ა ლ ა ზ ი ა შ ი , გ ლ ა დ ი კ ა ვ ა კ ა ვ ა შ ა მ ს წ ა ვ ე ლ ე ბ ე ლ ბ ი ც ი კ ა რ ა შ ე ი ლ ა თ ა ნ 15—9.

რედაქტორ-გამოცემელი დეკ. დ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე .

Редакторь-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлис, 28 октября. 1898 г. ♦ Цензоръ прот. Е. Е л ი ე ბ .

Типог. редакції журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.